

შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი

№ 16.

კვირა, ივლისი 27, 1908 წ.

ფასი წლიურათ — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეკით.

ადრისი: ქუთაისის „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: მწარე ფიქრები—ბოსლეველისა; ყოველად სამღვდლო გაბრიელის ხსენას (ლექსი)—დეკ. ნ. ყ—შვილისა; ქართულ პოლიტიკურ მოღვაწეებს—ივრიელისა; საეპარქიო სტამბ-ს ზედ-იღბალი—უკიდურესისა; ეკლის გვირგვინიანს (ლექსი)—მელქისედეკ თევზაძისა; მოგონებანი—ქვაციხელ საბაჟოელისა; საბარება, როგორც ცხოვრების საფუძველი—ვ. ჩ—ძისა; ალო-მახლო—კირილე წუთისოფელისა; კვირიდამ კვირობამდე; პროფესორ მაქს მიულლერის ახრი მატერიალიზმზე (დასასრული)—ბოსლეველისა.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს

ხელის მომწერათ წარმოადგინონ ჟურნალის წლიურა ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უსახსრობისა გამო იძულებული იქნება შეაჩეროს გამოცემა რამოდენიმე ხნით საშუალების აღმოჩენამდე.

ყოველ კვირულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ ქუთაისში (საბურთალო — კახაკოვის — შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში — წლიურა ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

მწარე ფიქრები.

რა ვართ? რის მაქნისი ვართ? რას ვაკეთებთ? ვის რათ ვარგივართ? აი ის მწარე ფიქრები-საკითხავები, რომლებიც ბოლომით გულს მიესებენ! რა ვართ? ვასრულებთ თუ არა ჩვენს დანიშნულებას? გალიაში ჩაწყვდევულ ახალ დაქირულ ჩატ-სავით იქით აქეთ ვეხლები, ცხოვრებას ვაკვირდები, ჩვენ ავ-კარგში ვიხედები, ვერსად პასუხს ვერ ვპოვებ და ხელა და

ვეკითხები ჩემს თავს: რა ვართ? რის მაქნისი ვართ? ვის რას ვარგივართ? ჩვენი საქმეა დამწყსვა, — ვერ ვმწყსით; ჩვენი მოვალეობაა ქრისტეს მოძღვრების გავრცელება, — ვერ ვავრცელებთ; მისი სამსახური, — ვერ ვმსახურებთ; მისთვის თავის დადება, — ჩვენ უარს ვყოფთ; ჩვენ გარშემო მისი ლანძღვაა, — ჩვენ ვითმენთ; მისი ქირდება ჩვენ ვსდუმთ; მისი განადგურებაა, — ჩვენ ტაშს ვუკრავთ; ჩვენი დანიშნულებაა, მოვიძიოთ დაკარგული, — ჩვენ ვუღებობთ; გზა ვუჩვენოთ შეცდომილს, — ჩვენ გზას ვუბნევთ; — შევირიგოთ განდგომილი, — ჩვენ შურსა ვსთესთ! რას ვშვრებთ? რის მაქნისი ვართ? სანამდის ვიძინოთ და არ აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა, ჩვენი დანიშნულება? მოვისმინოთ რას ამბობს ჩვენზე აღონაი უფალი? რას ამბობს მათზე, ვინც მოწოდებულია მწყსად და არ მწყსის, ვინც მოწოდებულია დაცვად და არ იცავს, ვისაც არ შეუგნია თავის დანიშნულება, ან შეუგნია ისე, რომ ვითომ მის საბალახოდ გაჩენილი მთელი



ქვეყნიერება და არა მისთვის, რომ იგი აღამაღლოს და გააკეთილშობილოს. ვის-მინოთ წინასწარმეტყველისა იეზეკიილისა, (თ. 34) რას იტყვის იგი მწყემსთა ზედა: „და იყო სიტყვა უფლისა ჩემთანა და მარქვა მე: ძეო კაცისაო! იწინასწარმეტყველე მწყემსთა ზედა ისრაილისათა, იწინასწარმეტყველე და არქვ მწყემსთა: ამას იტყვის აღონაი უფალი: ჰოი მწყემსნო ისრაელისანო! ვის უნდა მწყსიდეს, ვის უნდა აძობდეს მწყემსი—ცხოვართა, თუ თავთა თვისთა? აჰა თქვენ სძესა შეშქამთ და მატყლსა შეიქოსთ და მსუქანთა დაკლავთ, ხოლო ცხოვართა ჩემთა არა მწყსით: დაცემულთა არა აღადგენთ, ავთამყოფთა არა ჰკურნავთ, შემუსვრილთა არა შეჰკრავთ, შეცთომილთა არა მოაქცევთ, დაკარგულთა არა ეძიებთ, ძლიერთა აყვედრით და შრომასა შეამთხვევთ. და განიბნინეს ცხოვარნი ჩემნი, რამეთუ არა აქენდათ მწყემსნი და იყვნეს საქმელ ყოველთა მხეცთა. და განიფანტა ცხოვარნი ჩემნი ყოველსა მთასა ზედა და ყოველსა ბორცვსაზედა და ყოველსა ზედა პირსა ქვეყანისასა განიბნინენ ცხოვარნი ჩემნი—და არავინ იყო გამოჰეძიებელ და არცა მომქცეველ. ამისთვის, ჰოი მწყემსნო, ისმინეთ სიტყვა უფლისა! ცხოველვარ, ცხოველ ვარ იტყვის აღონაი უფალი: აჰა მე მწყემსთა ზედა და მოვიძიო ცხოვარნი ჩემნი ხელთაგან მათთა და გამოვიტაცო ცხოვარნი ჩემნი პირთაგან მათთა, და არლარა იყვნენ საქმელ მათდა, და განვაყენო იგინი მწყსისაგან ცხოვართა ჩემთასა და არა მწყსადენ მას მწყემსნა და არცა თავა თავისა ძაღვადეთ მწყსად. ამისთვის ასე იტყვის უფალი: აჰა მე მოვიძიო ცხოვარნი ჩემნი და მივხედო მათ!“

ლიახ, უფალი მოიძიებს ცხოვართა თვისთა, უფალი დაიხსნის მათ განსაცდელთაგან, გამოტაცებს მათ ხელთაგან მგელთა და ჩვენ? ჩვენ, ვითაცა მონათა უხმართა და მწყემსთა სხსეად თუ დადგანებულთა განგვაგდებს გარე და ვეღარ შევიძლებთ

ჩვენი თავის დამწყესსაც!... საშინელებაა: მწყემსნი თავის თავსაც ვეღარ დამწყსიან, თავის თავსაც ვეღარ მოუვლიან, ე. ი. აღონაი უფალი წაართმევს მათ თავის დამწყსვის, თავის მდგომარეობის დაცვის უნარს, ან რუსულად რომ ვსთქვათ: Господь отнимет у них способность самозащиты!... „ვისაცა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“!...

ბოსლეველისა.

ყოველად სამღვდელო გაბრძენის ხსოვნას.

ს.ნამ გედგა პირში სულ, კაცი იყავ ნამღვილ სრული, შენ სამშობლოს მსახურებდი, საქმე გქონდა მეტად რთული.

დღე და ღამე მოუწევინა იღვწოდი და მუშაკობდი, ყოველ საქმეს ერთგულად აკეთებდი და ამკობდი.

მტკიცე გქონდა ხასიათი, მტკაცე გქონდა რწმენა ღვთისა, განათლებითაც ბრწყინავდი, ვერ ვინ იტყვის შენსა ძვირსა.

მტერი თუმცა ბევრი გყვანდა, რადგანც იყავ პირუთნელი, მაგრამ ვერ ვინ ვერ დაგძლია, როგორც ვერ სძლევს ნათელს ბნელი.

შენ იყავ სოფლის ნათელი, ნათობდი ვითა სანთელი, იყავ იმერის აღმზრდელი: ზნე და გონების გამწოთვნელი.

სამოც წლებში შენი მოსვლა იმერი ესმათ, განიხარეს. „აწ ეშველა იმერეთსო!“ ყველამ ერთ ხმად დაიძახეს.

მართლაც მათი სიხარული
განამართლევ კეთილ საქმით:
განათლებას მიჰყავ ხელი
სამღვდლო პირთა შვილთა აღზრდით.

ერის კაცთ შორას სიბნელე
შენ განფანტე ქადაგებით,
სვანნი-აფხაზნი აღზარდე,
არ იკმარე იმერეთით.

შენ სამშობლო გურიაში
ღვაწლი დასდევ მეტად დიდი,
ვინ იქნება, არ გადიდოს,
არ შეგასხას ქება დიდი.

სამეგრელოსაც არგუნე
კეთილი ღვაწლი და შრომა,
ყველას ტკბილად მსახერებდი,
არ გიყვარდა ტყულად წყრომა.

მათაც მოჰფინე მზის შუქი,
უკუნ აქციე ბნელეთი,
ბევრ გზის ფეხით მოიარე
აფხაზეთი და სვანეთი.

ქვირვ ობოლთა და გლახაკთა
მათა იყავ გამომზრდელი,
„მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა“
დიდი ნუგეშის მცემელი.

შენი ქველ მოქმედებითა
ბევრს შეაშვრე ცრემლი ცხარე,
არ დაზოგე, რაც რამ გქონდა
ყველა იმათ მოახმარე.

სანამ ცოცხლობს საქართველო,
მანამ შენ არ დაგივიწყებს,
თუნდ იცხოვროს ძველებურად,
თუნდ ახალსაც რომ დაიწყებს.

დ. ბ. ყ.—შვილი.

მაისის 7-სა დღესა 1902 წ.

ქართულ პოლიტიკურ მოღვაწეებს. 1)

Отвлеченное начало ра-
венства—ничто иное, как
пустая фикция, которой
назначение—обмануть об-
щественную совесть..

Ламена.

Мы не придемъ къ свободѣ
Путемъ красивыхъ фразъ;
Всѣ рѣчи въ этомъ родѣ—
Молчите, сгубятъ насъ.

Мицкевичъ.

IV.

„ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს
„იწველიდესო“, ამბობს ქართული ანდაზა. სწო-
რეთ ეს ანდაზა გაამართლეს სოციალისტებმა
მას შემდეგ, რაც სოციალური მოძღვრება და-
იწყო; და უმეტეს ეხლა, როდესაც აბუჩად
აიგდეს ქრისტეს მოძღვრება და ომი გამოუტ-
ხადეს მას. თუ რომ მათი მოქმედება და ცხოვ-
რება ყოფილიყო ისეთი, როგორი ცხოვრების
და მოქმედების მქადაგებელიც სახარება მაშინ,
აღრვევ მიადწეოდნენ თავიანთ მიზანს: მით უმე-
ტეს რომ კაცობრიობა ცოტად თუ ბევრად
მომხადებელი იყო. კაცმოყვარეობის და თა-
ვისუფლების იდეების შესათვისებლად ამ მოძღვ-
რების წყალობით; მაგრამ ეს მათ არ ჰქნეს, მათ
უარჰყვეს ქრისტეს ნაუწყები ცხოვრების საფუძ-
ვლები და რაღაც ოცნებაზე დაამყარეს ვი-
თომ მათი მოგონილი ძმათა სიყვარული და
ერთობა. ამიტომ ამ ორი მოძღვრების შემა-
დარებელმა კაცობრიობამ უკეთესი აირჩია და
მათ მოძღვრებას ზურგი უჩვენა. ამნაირად ვერც
არაფერი თითონ მოიწველეს და ფურიც ტყუ-
ილა დაწიხლეს. კაცობრიობის უკეთესი და
უნიჭიერესი შვილები, ყოველთვის სახარების
მოძღვრებაზე ამყარებენ ადამიანის ბედნიერებას.

„კაცობრიობის საერთო და საკეთილო
ცხოვრებისათვის, რომ ერთი მეორეს არ ემო-
ნებოდეს, ამბობს ცნობადი ლეონ ტოლსტოი*)-
საქიროა არა ძალმომრეობის შენახულნი და-

1) იხ. „შინაური საქ.“ № 14.

*) Къ политическимъ дѣятелямъ. № 2,
стр 13.

წესებულებანი, არამედ ისეთი ზნეობრივი მდგომარეობა ხალხისა, რომლის მქონებელი, შინაგანი რწმენით და არა ძალდატანებით, ეპყრობოდეს სხვას ი.ე, როგორც სურს, რომ მოეპყრან მას. და ასეთი ხალხი არის. იგინი არიან ქრისტიანულ წრეებში ამერიკაში, რუსეთში, კანადაში. თუმცა ამ ხალხს არ აქვს ძალმომრეობით დაკუთრი კანონები მაგრამ მაინც სცხოვრობენ საერთო ცხოვრებით და არ ეუფლება ერთი მეორეს.

„ამისათვის გონიერი და თანამედროვე ცხოვრების შესაფერი მოღვაწეობა არის მხოლოდ აღსარება და ქადაგება სიტყვით და საქმით პირველის და უკანასკნელის და უმაღლესის იმ რელიგიური სწავლისა, რომელიც არის ქრისტიანობა... თვითგანკარგება და ზნეობრივად ამაღლება ქვეშაირების ქრისტიანისა, რომელიც სცხოვრობს ხალხში და არ შორდება მას, გამოიხატება ურთიერთშორის კატომოყვარული გრძნობების ჩამოგდებასა და განმტკიცებაში“

ლიახ მხოლოდ თავისუფალი სწავლა მშვიდობისა, ერთობისა და სიყვარულისა დაამყარებს ქვეყანაზე სანეტარო და სასურველ ცხოვრებას. და ეს მშვიდობა და თავისუფლება აკლია თანამედროვე პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლის უქონლობა ძლიერ აბრკოლებს და ასუსტებს მათ მოქმედებას.

იქნება სთქვას ვინმე, მაშ როგორ მოვეპყრათ ისეთ ადამიანს, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენი მოძღვრების გავრცელებას და ჩვენი აზრების სისრულეში მოყვანას? მათი დამარცხება შეიძლება მხოლოდ ძალმომრეობით; მხოლოდ ცეცხლითა და მახვილითო. მაგრამ ეს აზრი შემდგარი აზრია, ეს ნამდვილი წინააღმდეგობაა თავის რწმენისა. უფლება და ხელმწიფება ერთი მეორეზე უნდა მოისპოს ასეთის უფლების და ხელმწიფების უვარგისობის შეგნებით და არა ძალმომრეობით; წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე დესპოტი და სულთამხუთავი ხარ, რომელსაც ებრძვი, ისეთი წუბალების მომხრე ხარ, რომლის წინააღმდეგ აღგიმართავ! დროშა სიმართლისა და კატომოყვარებისა,

შეუგნებელთან საქმის დაკავება ძნელია. მასთან მეგობრობა ხელს არ მისცემს არავის. ასეთი კაცის მეგობრობა და მომხრეობა თუ შეაფერხებს და დაანგრევს დაწყებულ კეთილ საქმეს თორემ წინ არასოდეს არ წასწევს, ვინაიდან ასეთი კაცი, საკუთარ მტკიცე რწმენას მოკლებული, ყოველთვის გიდალატებს, როცა გარემოება დატრიალდება კერძოთ მის სასარგებლოდ. ასეთი მაგალითები იყო საფრანგეთში. „დიდი რევოლიუციის დროს ერთობის და ქვეშაირების მომხრენი და მეთაურნიო, ამბობს ისტორიკოსი შმიდტი, ნაპოლეონის გამეფების შემდეგ მის ჯაშუშთა წრეში ჩაეწერენ და აბეზღებდენ რევოლიუციაში მონაწილეობის მიმღებთო“ ვგონებ ჩვენშიაც ასე მოხდა თუ არ ვსცდები?!

იდეური ბრძოლა ღვაწლი და ტვირთია ადამიანისათვის. ყოველი კაცი, კეთილი საქმისათვის მებრძოლი, წინდაწინვე უნდა ფიქრობდეს თავის მოწოდებაზე, თავშივე უნდა წარმოიდგენდეს ყოველგვარ ტანჯვასა და მწუხარებას, რომელიც აუცილებლად შეხვდება მას, ვინაიდან „ვარდის უეკლოდ მოკრეფა არავის გაუგონია“! და ერთხელვე, აიღებს რა დროშას თავისუფლებისა და სიმართლისას, თავგანწირულად უნდა მიმდინარეობდეს აღრჩეულ ეკლიან გზაზე და არ შეუშინდეს არავითარ ძალმომრეობას და ამ უკან დახევით ჩირქს არ წასცხებდეს იმ წმიდა დროშას, რომელსაც ამოჭფარებია იგი. მართალი მსხვერპლი ბევრი იქნება, მაგრამ სამაგიეროდ დიდ სულოვნობით, და არა ვაჟკაცურად, მოპოებული ბედნიერება მტკიცე იქნება და შეგნებული; მას თვით ხალხის გულში ექნება ფესვები გადგმული და ასეთი ბედნიერებისათვის წამებულნი საყვარელნი იქნებიან ყველასათვის ისე, როგორც ქრისტიანობისათვის წამებულნი. საქართველოს ისტორია ცხოველი მაგალითია ასეთის მოქმედებისა. თუ დიდ სულოვნობით არა, ვაჟკაცობით რა შეეძლო ქართველ ერს უთვალავ გარემოდგომილ მტერთან?! დიდებულმა გმირმა კოტე დადიანმა დიდ სულოვნებით სძლია ნოინს და უშველა ქსნის ერისთავებს; დიდ სულოვნებით დააღბო სასტიკი მტარვალის გული!!

V.

ყოველი მოძღვრება და ყოველი სწავლა იმოდენათ არის დასაფასებელი და ღრსი ვა

ტივისცემისა რამოდენადაც აღამაღლებს კაცობრიობას ზნეობრივად. თავი და ბოლო ადამიანის ბედნიერებისა არის მისი მაღალი ზნეობა. და თუ ასეთს ზნეობას არის მოკოვებული ადამიანი მაშინ მას გონიერთა შორის არ აქვს ადგილი, იგი ემსგავსება პირუტყვს, რომელიც მხოლოდ მისდევს ქვენა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას; ხოლო ყოველივეის რაც, აღამაღლებს კაცის ბუნებას, მისთვის დაკარგულია და გათვლილი. ზნეობით ამალღებულ ადამიანთან, გონებრივად განათლებულიც რომ არ იყოს იგი, მაინც ხელსაყრელია მეგობრობა და საქმის დაწყება, ვინაიდან მისი მაღალი ზნეობა, რომელიც ვალდებულად ხდის მას შევიწყაროს, ვითარცა თავი თვსი, ნებას არ მისცემს გილატოს და დაგაბრკოლოს. ასეთი მაღალი ზნეობის მქადაგებელი არის ქრისტიანობა, რომელიც მოკლედ გამოიხატება შემდეგ სიტყვებში: „უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდევს მეგობართა თვისთათვის. თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკეთუ ჰყოთ რომელსა, ესე გამცნებ თქვენ“ (იოან. თ. 15. 13—14).

მაგრამ უმაღლესობა და დიდებულება ქრისტეს სწავლისა მდგომარეობას არა მარტო ქვეყნიურ კეთილმდგომარეობის ქადაგებაში არამედ ღმრთისადმი რწმენაში და სიყვარულში. ბუნება ადამიანისა ისეთია, რომ ამ მსოფლიოში იგი საზღვარს ვერ ჰპოებს; იგი ვერ კმაყოფილდება ამა, სოფლიური ცხოვრებით, რაც უნდა ზნეობრივი იყოს მაინც; იგი სხვა მსოფლიოს ეძებს, როგორც სთქვა ბარათაშვილმა: „გულის თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფთ, რომ დააშთოს აქ ამაოება“. და ასეთ სადგურს სულთა სწრაფვისას ადამიანი ჰპოებს მხოლოდ სარწმუნოებაში, ღვთის სიყვარულში, რომლისაგანაც მოვლის კეთილი საქმისათვის ჯილდოა, ხოლო ბოროტთა ცოდვათა შემსუბუქებას და შენდობას.

საესებით აკმაყოფილებს თუ არა ადამიანის ბუნების მისწრაფებას თანამედროვე პო-

ლიტიკური მოძღვრება?—გადაჭრით შეიძლება სთქვას კაცმა: არა.

(შემდეგი იქნება).

ივერიელი.



საეპარქიო სტამბის გელ-ილგალი.

როგორც მოსალოდნელი იყო, უკანასკნელი სამღვდელთა კრება, გარდა ერთი-ორი ქალაქის მღვდლისა, სიამოვნებით მიეგება საკუთარი სტამბის შექმნის საქმეს და საკმაოდ საგრძნობელი შემწეობაც აღმოუჩინა მას საერთო თანხიდან, რომელზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი; მაგრამ, ყოვლად სამღვდლო გიორგიმ არ დაამტკიცა კრების ეურნალური დადგენილება ამ საგანზე. კრების დადგენილება ამბობს შემდეგს: „ეთხოვოს სათანადო მართებლობას გადადებულ იქმნას საეპარქიო სტამბის შესაძენად იმ 8614 მანეთიდგან, რომელიც დარჩა სამღვდლოების განკარგულებაში შემდეგ ქუთაისის სემინარიის დახურვისა, 4000 მანეთი იმ პირობით, რომ ეს გასავალი დაიფაროს სტამბის შემოსავლიდგან რვა წლის განმავლობაში 500 მანეთის ყოველწლიურ გადახდით. ამ საქმის წარმოება მიენდოს ეურნალ „შინაური საქმეები“-ს რედაქტორს მღვდელს სიმონ მჭედლიძეს.*) შემდეგ ვალის გასტუმრებისა, სტამბა უნდა შეიქმნეს სამღვდლოების სრულ საკუთრებად.“ რაიცა შეეხება მიზეზებს, რომელმაც გამოიწვია სტამბის დაარსება, ესენი არიან: 1, საკუთარი გამოცემის უზრუნველყოფა, და 2 საეკლესიო და საღვთისმეტყველო წიგნების და წიგნაკების ბეჭდვა-გავრცელება და სხვა ამგვარი. სამღვდლოების ასეთ სიმპატიურ მისწრაფებას ყოვლად სამღვდლო გიორგიმ დასდვა შემდეგი რეზოლიუცია: „15 ივლისს 1908 წ. არ შემოიძლია დავეთანხმო კრების დადგენილებას უწმიდესის სინოდის ან მისი

*) ამან ასწვა ზურგი მოხსენებულ ორიოდე წინააღმდეგ მღვდლებს.

კონტორის გაუფებელად და ნებადაურთველად“.

საჭიროა გავაცნოთ მკითხველებს, თუ რა ფულია ის ფული, რომლისაგანაც სამღვდლოებამ გადასდო ის 4000 მანეთი სტამბისთვის. აქედან თავისთავად ცხადი შეიქნება საკითხი, — ჰქონდა თუ არა სამღვდლოებებს უფლება შეხებოდა ამ თანხას და ან საჭიროა თუ არა ამისთვის სინოდ-კონტორის დაკითხვა?

1873 წლიდან სულმნათმა გაბრიელმა განიზრახა ქ. ქუთაისში სემინარიის დაარსება და დაავალა თავის ქვეშევრდომ სამღვდლოებებს ყოველ წლივ შემოეტანათ საჭირო თანხის შესადგენათ რამოდენიმე პროცენტი თავის შემოსავლიდან. დავალებული იყვნენ აგრეთვე შეძლებული ეკლესიებიც, მაგრამ როგორც სჩანს საბუთებიდან, ამ უკანასკნელებიდან ან სულ არ შემოსულა ფული და ან შემოსულა უმნიშვნელო რამ, ხოლო თანხა კი საგრძნობელი შემდგარა, როგორც სჩანს იმავე საბუთებიდან — სულ 27000 მანეთადის. ამ თანხიდან მხოლოდ 14000 მანეთს მოუხწევია ნეტარხსენებულ ქუთაისის სემინარიამდის, რომელსაც თავის სიცოცხლეში მოუსწრია 6—7 ათასი მანეთის და ხარჯვა. შემდეგ სემინარია დაიკეტა და 27 ათასი მანეთის ნაგლეჯი, 7 თუ 8 ათასი მანეთი, დარჩა ხაზინაში. ეხლა მიბრძანეთ, ვისია ეს ფული და აქვს თუ არა სამღვდლოებებს უფლება, სესხათ მაინც ისარგებლოს მითი ვისმეს დაუკითხავად? რომ სემინარია დარჩენილიყო ქუთაისში ამ ფულის მისგან გამოწირვა არ შეიძლებოდა და არც არავინ ისურვებდა, ხოლო, რადგან ეს უკანასკნელი დაიხურა, ჩვენის ფიქრით ფული სამღვდლოების სრულ განკარგულებაში დარჩა და მას ეკუთვნის მისი ამა თუ იმ საჭიროებაზე მიქცევა.

ასეა, თუ ისე, სამღვდლოებებს დაუკარგავს უფლება ამ ფულის შეხებისა. ამით იგი ქკუას ისწავლის და კვლავინ-

თვის თავის ფულს თითონ უმასპინძლებს და არ გახდის სააპეკუნოდ. მაგრამ, საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ დატრიალდებოდა საქმე, რომ კრებას ამ ფულით თბილისის სემინარიის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია! ვფიქრობთ არავის საკითხავი აღარ გახდებოდა ეს საქმე. მართალია თბილისის სემინარიის შეწევნა კეთილი საქმეა, მაგრამ რა დააშავა ბედკრულმა სტამბამ? ნუ თუ ესეც საკეთილო საქმე არ არის და უფრო საკეთილო? იგი სამღვდლოების აზრით სარწმუნოების მოსამსახურე უნდა ყოფილიყო, ხალხის მრთელ აზრებში და იდეებში აღმზრდელი და ნუ თუ ეს მიზანი მისი ღირსი არ არის, რომ მისთვის სესხად რამოდენიმე ათასი მანეთი გავიმეტოთ? თუ სწორეთ გავსჯით, სამღვდლოების ფულიდან დღევანდელ სემინარიას ერთი კაპეიკიც არ ერგება, მიტომ რომ ის უკვე აღარ იძლევა სამღვდლო პირებს და თუ სადმე ერთი-ორი გადმოისროლა, მისთანა შენს მტერს! ან ღვთის უარის მყოფელი იქნება და ან ზნეობით დაცემული. ტყუილად კი არ სწერდა ყოვლად სამღვდლო ლეონიდე თავის პასუხებში და სამღვდლოება თავის პეტრიაში „კურსოვნიკებმა“ დასცეს, პირქვე დაამხვეს ხალხში მართლმადიდებლობაო. დასცემს, მაშ რას უზამს სარწმუნოებას ის მღვდელი, რომელიც დილაადრიანად რძით და ჩაით გამოსკინილდება და ისე წირავს, ან წირვის წინ სახალხოთ პაპიროზს შეექცევა, ან და კიდევ შობა დღეს იქადაგებს: „ქრისტე უბრალო პროპაგანდისტი იყო“ . ასეთი მღვდლების წინააღმდეგ გვინდოდა ჩვენ სტამბა, რომ ჩვენი გამოცემები სილარბისა გამო არ შემდგარიყო და შუა გზაზე არ გაყინულიყო, ე. ი. ჩვენ გვინდოდა რამოდენიმედ მაინც გაგვესწორობია „კურსოვნიკებისგან“ დამრუდული სარწმუნოება.

ასეთი ბედი ეწია ჩვენ კეთილდაწყებულიებას, მაგრამ მე კიდევ იმედი მაქვს

სამღვდელოება არ დაყრის იარაღს. ვისაც ცხადად შეგნებული აქვს სტამბის აუცილებელი საქიროება, ის არ მიაქცევს ყურადღებას დაკარგულ ფულს და შეუდგება ხელახალ თანხის შედგენას, რომლის დანიშნულება განსაკუთრებით სტამბა იქნება. რედაქცია მოუწოდებს ყველას, ვის გულშიდაც ჯერ კიდევ არ გამქრალა მოქალაქობრივი, ქრისტიანობრივი და საზოგადოდ ადამიანური გრძნობა, ძმურად მისცეს მხარი ამ კეთილ საქმეს და გაუზიანოს ეპარქიას საკუთარი სტამბა. საწილო შემოსატანი იქნება ხუთი მანეთიდგან დაწყებული. ვინც ისურვებს, სტამბის გამოცვლით დაიბრუნებს თავის ფულს, დანარჩენები სრული ამხანაგები იქნებიან სტამბაში და მონაწილეობას მიიღებენ მის მოგებაში. მთელ საქართველოს სამღვდელოებას არ გაუჭირდება, რაღაც 5 ათასი მანეთის თანხის შედგენა.

ამ კეთილ საქმეში უკვე მონაწილეობა მიიღეს და ფულიც შემოიტანეს: დეკ. ი. ჭეიშვილმა 20 მანეთი, დეკ. მიხ. მკვდლიძემ 20 მ., მღვდ. ა. ფოფხაძემ 10 მ., ს. თავზარაძემ 10 მ., მღ. ლ. დევიძემ 10 მ.

ეს სტატია უკვე კარრექტურადგან გამოსული იყო, როცა გავიგეთ ორი ფრიად შესანიშნავი ამბავი, რომლებიც ამართლებენ ამ სტატიაში გამოთქმულ აზრს. ერთი მათგანი შეეხება მღვდ. კ. ნ.—ლის მხეცურ საქციელს, რომელზედაც მოგვითხრობს გაზ. „ფშმაკის მათრახს“, ხოლო მეორე იმას, რომ ყოვლად სამღვდელო გიორგიმ თბილისის სემინარიის სამმართველოს გაუგზავნა 800 მანეთი ნახევარი წლის ზვედრ გადასახადი იმ თანხიდგან, რომლისაგანაც სამღვდელოებამ სტამბის შესაქენად სესხად გამოითხოვა 4000 მანეთი.

უკიდურესი.

მკლის გვირგვინიანს.

ოხ, მაცხოვარო, ტანჯულ ხალხისთვის მხსნელ და ქომაგად, მოვლინებულო!

რომ გაკვირდები, თვალები შეწვის, ეკლის გვირგვინით შეწუხებულო!..

წმიდათა წმიდა ეგ შენი თავი წვეტიან ეკლით არს დანაჩხვლეტი!.. ვინ არ შესწუხდეს ამის მნახავი? ვის არ დაეცეს გრძნობათა რეტი?!..

ეგ შენი სახე, დიდად ნატანჯი, დიად სიმწუხრის დიდი ზღვა არი:— ზეცას შესწივის შენი თვალები: რომ გულ-მკერდს გღულრავს ცრემლ-სისხლთა ღვარი!..

და ან შენ რითღა დაიმსახურე მტარვალებისგან ეგ სიძულვილი? მგონია, მით, რომ ხალხს უქადაგე:— „ძიობა, ერთოა და სიყვარული!..“

ამ მცნებით გსურდა უგუნურება ადამიანად შენ მოგენაოლა!.. ამ სიკეთისთვის აღარ დაგინდევს და ბრბომ სიკვდილით გაგასამართლოა?!

ზიზღი და გმობა იმ ძველ თაობას, ვინც, მაცხოვარო, აგრე გაგწირა, — აღარ დაგინდო, სიმართლისათვის გტანჯა, გაწამა, მწარედ გატირა?!..

ფუ! იმ სიბნელით მოცულ ღროებას, როცა „ერთობას“ ქვეყნად ვარი ჰყვეს, — როს დაგმეს შენი წმინდა აზრები, — გტანჯეს გაწამეს და შეურაცყვეს!..

ფუ! იმ საზიზღრებს, ვის ღღესაც არ სწამს

წმიდათა წმიდა შენი სიტყვები!..

... მე კი მარადის, ყველთვის, ყოველ ჟამს, შენს მცნებებს მკველად უკან მიყვევები!..

თან ენატრი იმ ღროს, როს გამეფდება შენი აზრები, სინდისიერი, როცა სამოთხედ გადაგვექცევა ყველას ცხოვრება ამ ქვეყნიერი!..

... ცისკარიც მოსჩანს, მოსჩანს სხივები,

ქვეყნის სიბნელეს ებრძვის ნათელი!.. მკვლრებით აღდგება შენი მცნებები, ღღემდე ბევრისგან ფეხ-ქვეშ ნათელი!..

მელქისედეკ თევზაძე.

მ ო ზ ო ნ ე ბ ა ნ ი.

გავრცელება. ¹⁾

1905-1906 წ. ცუდათ ვიხსენიებ მე, ვინაიდან მაშინ გაჰქრა ანგელოზი მშვიდობისა, და მის მაგივრად ხალხს მოევიდნა ანგელოზი შფოთისა, დავიდარაბა-აყალმაყალისა, თავმომწონეობისა, სისხლის ღვრისა, განადგურებისა და სხვა და სხვა მცურ გრძნობების აღძვრისა. სწევრ-ულვაშონი გაბატონდნენ ქალარით შემოსილ პირებზედ, ბრიყენი—ქკვიანებზედ და გამოუცდელნი—გამოცდილებზე; ასეთ პირობებში ჩავარდნილი ძლიერ შეწუხებულად და შევიწროებულად ვგრძნობდი ჩემ თავს. აქამდის ხალხის თავისუფლების მოპოების და შონობის უღლის ახდის მოტრფიალე. ახლა, მხედველი მისი საქციელისა, არაფრად შეეხარადი ესეთს მის თავისუფლებას; რალაც გამოუტკვეველ მდგომარეობაში ჩავვარდი და არ ვიცოდი თავი როგორ დამეხწია ამ გაქიერებებში. „ძნელი არის მარტოობა სულისა! საბრალოა მხოლოდ სულით ობოლიო“, ამბობს ნ. ბარათაშვილი. და მეც (რასაკვირველია სხვებიც ჩემისთანა პირობებში მყოფნი) საბრალო ვიყავი იმით რომ არავისთან შემეძლო ჩემი დარდები, ჩემი მწუხარებანი და გულის პასუხები გამეზიარებია: ირგვლივ გაუგებრობა საქმისა, საცინლად ავდება სარწმუნოებისა, მღვდლისა; ასე გასინჯეთ მღვდელთან დალაპარაკებაც კი ახალთაობის დამკირებად მიანდა უმწიფარ ბელადებს, და თუ ვინმე გაბედავდა ღვდელთან მუსაიფს, მას ეჭვის თვლით დაუწევდნენ ყურებას და „ხულიგანის“ სახელით მონათლავდნენ. ისიც ძალიან მაკვირდა და მაოცებდა თუ რათ შეიქნენ ღვდლები აღიარებულნი ხალხის სისხლის მწოველად და მტრად და ისიც რატომ ღვდლები არ ცდილობდნენ ამ საზიზღარ ბრალდების წინააღმდეგ გამოლაშქრებას. თან გული მისკდებოდა შიშით, ვაი თუ მართლა დაიმსახურეს მათ ასეთი ზიზღი ხალხისა და მასალას და საბუთს ვერ პოულობენ მათ მოძლეთა პირ დასაყოფელად იქო. მაგრამ ასეთი ფიქრებით გარემოცულმა შევიტყვე, რომ ქუთაისში მოხდება

¹⁾ იხ. „შინ. საქმ. № 15.

მთელი იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების კრება და სიხარულით ცას დავეწოე: ვიფიქრე. ნამდვილ ახლა ეცდება სამღვდლოება მოცხებულ ჩირქის მოშორებას, ნამდვილ ახლა გასცემს პასუხს ყველა იმ ბრალდებას, რაც მოახვიეს მას თავზე ამ მოძრობის დროსთქო. ვფიქრობდი, რომ იქ თავს მოიყრიდა საუკეთესო ნაწილი ჩვენი სამღვდლოებისა, რომელიც, რასაკვირველია, იქონიებდა საბუთიან და დაკვირვებულ მსჯელობას გარემოდგომილ მწვავე საგნებზედ. მე ვიმედოვნებდი, რომ მამანი მღვდელნი გამოიჩინენ დიდ გამჭრიახობას ამ დროს, არ აჩქარდებიან, არ ალელვდებიან, არამედ დამშვიდებულად, დინჯათ როგორც შეფერის მოძღვარს და „მწყესსა კეთილსა“, გამოძებნიან ისეთ რამე სალსარს, რომლითაც შესაძლებელი შეიქნება განახლება-აღდგენა ერსა და მღვდელთ შორის მცირე ხანს გაწყვეტილ კავშირისა; ეცდებიან კრიტიკულათ გაარჩიონ ყოველი ბრალდება-დანაშაულობა, რაზედაც სახალხოთ უთითებდნენ მაქადაგებლები; დაიცავენ (რამდენათაც ღირსი არიან ამისა) თავს და სარწმუნოებას—განკიცხვა-დაგმობისაგან, გამოიჩინენ ნამდვილად ქრისტეს მოციქულობას და საამებლათ ოცნებით გატაცებულ პირთა არ უღალატებენ ქრისტეს და მისგან ნაანდერძევს მცნება-დარიგებას, არ უღალატებენ თავიანთ მოწოდება-დანიშნულებას, არამედ აღძრულნი ურთიერთის სიყვარულით და თანაგრძნობით იქონიებენ ძმურსა და მეგობრულ თანხმობა-მსჯელობას შესახებ თანამედროვე საქირ-ბოროტო საგნებისა. მე ვამბობდი, აბა იქაური კრება და ბასი საგნებზედ არ ემგვანება სოფლიურ კრებას შეუგნებელ ხალხისას, რომელიც ერთმანეთს არ აცლის სიტყვის თქმას და აზრის დათავებას და რომელიც ერთ აურზაურს აყენებს ხოლმე ყოველთვის როცა შეიკრიბებიან რაიმე საქმისთვისთქო, არამედ, როგორც განათლებულ პირთა კრება, იგი იქნება სამაგალითო წესიერების და მშვიდობიანობის ხასიათისა-თქო. ასეთი იმედებით მივეშურებოდი მე ჩემ სამრევლოდგან ქუთაისს კრებაზე დასასწრებლად. მაგრამ გაქრა ტკბილი ოცნება! თურმე ესენიც შეუბყე-

რია საზოგადო სენს, თურმე ესენიც აუფუფე-
ბია იმ საფუეარს, რომლითაც გაფუებული შე-
იქნა მთელი ხალხი? მიუახლოვდი თუ არა დარ-
ბაზს, სადაც იყო კრება, მომესმა ხმაურობა
და ხრიალ-ყრიალი; შევედი თვით ზალაში,
როგორც იქნა, რომელიც ხალხით იყო გაქე-
დილი; მღვდლები სრულიად აღარ სჩანდენ
კარებიდგან, სულ სხვა და სხვა ჯურის ხალხი
ეფარა წინ. აქ მოსულიყო კაცი და ქალი,
დიდი და პატარა, სულ სხვა და სხვა პარტიისა
და მიმართულების ხალხი, მათი წარმომად-
გენლებით და პროპაგანდისტები; თით-
ქოს ღვდლების იერიშით აღება უნდათო,
ისე მწყარალად და მრისხანედ გამოიყურებოდ-
ნენ, ყველანი. მივატრიალ-მოვატრიალე თვალე-
ბი და დავინახე სტოლებზე შემდგარი ოთხი-
ოდ-ხუთიოდე ყმაწვილი ანაფოროსანი, ზოგს
სახაზაი ექირა ხელში, ზოგს ტროსტები, ატ-
კაცუნებ-აბრახუნებდნენ იმით და თან ისე ხმა-
მალა გაჰქიოდენ ამ ვეებერთელა ზალაში,
გეგონებოდათ თათრის მოლა სალოცავად იწ-
ვევს მართლმორწმუნე მუსულმანებსო. „რე-
აქციონერი“, „გათახსირებული“, „ხული-
განი“ „ბიუროკრატი“—იყო მათი პასუხი მათ-
დაში, ვინც დინჯად და მოფიქრებულად დაიწ-
ყებდა ლაპარაკს. თვალე გაშტერებული ვუ-
ყურებდი ამ წრეს გადასულ მამების საქციელს
და ვამბობდი: რალაში გავამტყუნო ჩვენი სოფ-
ლის ხალხი, როცა მოძღვარნიც კი ისე ამო-
ტებულანთქო? მე არაფრად მომწონდა ასეთი
შეუფერებელი საქციელი ციბრუტა მამებისა,
მაგრამ დამსწრე საზოგადოებაზე კი დიდ შთა-
ბეჭდილებას ახდენდენ იგინი. „როგორიც
ერიო ისეთი ბერიო“ და სწორედ ორივეს ერთ-
მანეთი მოსწონდა. ახალმოდის ფრაზები ან კი
ვის არ გააბრიყვებდა, ვის არ მოიყიდიდა?! ამ
ამ ფრაზების შეოხებით ერთ მათგანს „ბარიშ-
ნებმა მეორე გაპონი“ უწოდეს, (იმ დროს გა-
პონი დიდ მოწონებაში იყო კიდევ). ეტყობო-
დათ ამ მამებს გარეშე საზოგადოების ყურად-
ღების დამსახურება უფრო სურდათ, ვიდრე
აკლესიის და სარწმუნოების დაცვა-განმტკი-
ლება. უკიდურესებმა გამოთქვეს აზრი, რომ,
თუ ჩვენ ყველა მღვდლები, სოციალ-დემოკრა-

ტების პროგრამას არ დაკადექით, ხალხისგან
შეწყნარებას ნუ ველითო, მთელმა სამღვდ-
ლოებამ უარჰყო ასეთი წინადადება, ხოლო
ყოვლად სამღვდლოს შედეგ განემარტებია
სამღვდლოებისათვის: „ჩვენი პროგრამა სახა-
რებაა და იმაზე უნდა გავააროთო“. ქეშმარი-
ტი აზრია! რომელი ახლათ შეთხზული პრო-
გრამა შეედრება ქრისტეს სახარებას და მას-
შიდ გამოთქმულ დიად მცნება-აზრებს? რო-
მელ ახალ მოძღვრებაში შეხვდებოთ ისეთ ადა-
მიანისადმი სიყვარულით და სიბრალულით გამს-
ქვალულ სწავლას, როგორც სახარებაში? რამ-
დენი თავია, იმდენი ქუააო და ბევრი სხვა
და სხვანაირი აზრები გამოთქვა აქ, მარა ზე-
მოხსენებულ პირების ამქრებმა არ დააცალეს
არაკის თავისი აზრის დამტკიცება-დასაბუთება
აგერ მათი ამქარი მივარდა ერთ მღვდელს,
რომელმაც ცოტა რამ სხვანაირი აზრი გამოთ-
ქვა და ხანჯლის წვერის კვრით გარეთ გააგ-
დეს, აგერ მეორეს რევოლვერი დაუმიწნეს გულ-
ზე. მოდი და ნუ გაოცდები, მხედველი ამისა;
უსწავლელი ხალხი, რომ თავს მოიყრის, იქ
მეტი თავშეკავებულობა და სიდინჯე სჩანს,
ვიდრე აქ ნასწავლ ხალხსა და მღვდლებს შო-
რის. აშკარა იყო, რომ ცეცხლითა და მახვი-
ლით უნდოდათ ამათ თავის აზრების გაყვანა!..

ქვაციხელ-საბაოელი.
(შემდეგი იქნება).

**სახარება, როგორც ცხოვრების საფუძ-
ველი**

(გავილაზარაის მარიათადა საფუქველნა.)

ამის ახსნა ძრიელ აღვილია და მარტივი.
ქრისტიანობამ 19 საუკუნის განმავლობაში
თავისი აღუფხვრელი ბეჭედი დაასვა ამ ხნის
განმავლობაში აღზრდილ თაობებს, მათს კა-
ნონებს და დაწესებულებებს, მათ გონებრივ
და ზნეობრივ აღზრდას, მათს აზრთვნებას.
ჩვენ ყველანი, როგორიც უნდა იყოს ჩვენი
სარწმუნოებრივი შეხედულობა, ჩვენ ყველანი
ჩვენდა შეუმჩნევლად მის ვაფუნის ქვეშ ვიმ-
ყოფებით ყოველ ნაღიჯზე, ჩვენი ცხოვრების
ყოველ წუთში. მომეტებული ნაწილი იმ იდე-

*) იხ. „ზინ. საქმეები“ № 15.

ებისა, რომელიც ქვეყნიერებას პირველად უქადაგა ქრისტიანობამ, ეხლა საზოგადო კუთვნილებად არიან გამხდარნი. ამიტომ, რაც რომ სიკეთე სკიროთ ქრისტიანობის უარყოფელებს, რითაც ისინი სამართლიანად ამპარტანებენ (ოჰმცა თითონ მას არ იმჩნევენ), სავსებით ეკუთვნის სახარების მოძღვრებას და მისივე მადლიერნი უნდა იყვნენ. მაგრამ, დაე, ჯანყმა დაძალოს მზე, დღის სინათლე, რომელიც გარემოგვიცავს ჩვენ, მაინც თავისებური არ არის, არამედ მხოლოდ შედეგია ჩვენგან დაფარული მნათობისა. როდესაც ჯანყი გადაივლის, მაშინ ცაც მოიწმენდს, გამობრწყინდება მთელი თავისი მშვენიერებით, მზე სინათლისა და სითბოს ნაკადულით მორწყავს ქვეყნიერებას; დადგება ნათელი, მხარული დღე.

ხოლო როდის იქნება ეს ყველაფერი? პასუხს ვერავინ მოგვცემა. იესო ქრისტე ამბობს, რომ ჩვენ ამის ცოდნა არ შეგვიძლია; მაგრამ სწორედ მისთვის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ ამ წამის დადგომის დრო, ჩვენ არა თუ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ მის შესახებდრად, როგორც მზად უნდა იყოს სახლის პატრონი ავზაკების დასახვედრად, როგორც მზად უნდა იყვნენ ლამპრებით ქალწულნი სიძის შესახვედრად, არამედ ყოველი ჩვენი ძალღონით უნდა ვიღვწოდეთ ამ წამის დადგომისათვის. კითხვაზე: როდის დადგება ეს წამი, იესო ქრისტე, ურჩევს ადამიანს, ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ, რაც შეიძლება, მალე დადგეს იგი. სხვა ნაირი პასუხი შეუძლებელია. არავის არ შეუძლია უთხრას კაცობრიობას, რომ ქვეყნიერებაზე სასუფეველი ღვთისა ამა და ამ დროს დამყარდებაო, მიტომ რომ იმის დამყარება მისგანვეა დამოკიდებული და არა სხვა რაიმესაგან. „პასუხი იგივეა, ამბობს ერთი ცნობილი მოაზრე, როგორიც იყო პასუხი იმ ბრძნისა, რომელმაც მგზავრის კითხვაზე შორეა ქალაქამდი თუ არაო, მიუგო: „იარეო“. როგორ შეგვიძლია ესთქვათ შორეა თუ არა იმ მიზნამდის, რომელსაც უახლოვდება კაცობრიობა, როდესაც არ ვიცით როგორი სისწრაფით ივლის ამ მიზნისკენ კა-

ცობრიობა, რომელზედაც დამოკიდებულია სვლა თუ არ სვლა, გაჩერება, ნაბიჯის მოკლება თუ მისი გაძლიერება. ყოლიფერი, რაც ჩვენ შეგვიძლია, ვიცოდეთ, არის ის, რომ ჩვენ, ვინც კაცობრიობას შევადგენთ, ვიცოდეთ: რა უნდა ვქნათ და რა არ უნდა ვქნათ, რომ მალე დამყარდეს სასუფეველი ღვთისა; ხოლო ეს ყველამ ვიცით, სახარებაც ცხადთ ამბობს. საკმარისია, თავი დავანებოთ იმას, რაც არ უნდა ვქნათ: საკმარისია, ყველა ჩვენგანი ცხოვრობდეს იმ სინათლით, რომელიც ჩვენშია, რომ მაშინვე დამყარდეს ის სასუფეველი, რომლისკენაც მისწრაფვის ყოველი ადამიანის გული“.

ღვთის სასუფეველის დაყარება ღმერთ-კაცის საქმეა, შედეგია ადამიანისაგან იმ ღვთიურ სიმართლის მიღებისა და შეთვისებისა, რომელიც ჰქადაგა ქრისტემ. რაც უფრო გულთ დაუახლოვდება ადამიანი ღმერთს, მით უფრო ახლოა ადამიანთან სასუფეველი ღვთისა; ღვთის სასუფეველის დამყარება, რამდენადაც იგი დამოკიდებულია ადამიანისაგან, განისაზღვრება, მაშასადამე, ნების ქრისტიანული აღზრდით, მისი აღზრდით სახარების სიმართლისა და სიყვარულის კვალობაზე.

გ. ჩ.—ძე.

ა ხ ლ ო - მ ა ხ ლ ო.

ერთმა სოფელელმა სთქვა: „ქართველებს, რომ ნიქიერს გვეძახიან, — ან იქმნება ჩვენ თვითონ ვუწოდებდეთ ამ სახელს ჩვენს თავს, — არ ვიცი რაში გამოიხატება ჩვენი ნიქიერება! — იქმნება იმაში, რომ ყოველ უკუღმარობას უცბად ვითვისებთო?“

ცხადია, რომ ეს ერთობ უკიდურესი შეხედულებაა ჩვენ ნიქიერებაზე, მაგრამ არც ის ითქმის, რომ ამ უბრალო სოფელელის აზრში სიმართლე არ გამოსკვირდეს.

ქართველების ქართველობას და ნიქს წუნს ვერავინ დასდებს. საქართველოს ჯერ კიდევ მტკიცედ ახლავს მისი ძველი დიდება; გვრწამს, რომ მას ერთგული შვილები არ შემოლევია, მას ჯერ კიდევ საკმაოდ უდგას ტნში გპირული სული, რომელიც, ერთ დიდებულ დღეს

მკვირცხლად გამოიღვიძებს და მქუხარე ხმით დასქქს ნაზღვილ ქართველებს: „ქართველს ქარა ველობა, რას მიქვი-ნ სხვა რამეო“, და მაშინ, ნაცვლად დღეს გამეფებულ ქართველთ ნაძირალებისა, ქვანიც კი წამოიძახებენ: „ამან, ქართველს ქართველობა, ღმერთმან აშოროს გადაგვარებაო!“

დღეს საქართველოს დიდება, მისი ნამდვილი და ერთგული შვილები მიუჭრებელი არიან, რომ ამ აყოყოჩებულ „თავ-კაცებთა“ საზოგადო გადარევის დროს, მათაც ილიას დღე არ დაადგეს... დიახ, ნამდვილი ქართველები დღეს სდუმან, სანამ ეს დაბალი „სორტის“ ქართველები გონს არ მოვლენ, არ დაეცემიან სამშობლოს წინაშე და მოტყევბას არ გამოითხოვენ; მანამ-კი, „საქართველო მათია“, მათი წაღმა-უკულმა სატრიალებელი, მათ საკუთარ ინტერესების და კერძო ენის საყრელი იარაღია.

მართლაც ვინ პატრონობს დღეს საქართველოს? ვინ განაგებს მის ბედ-იღბ-ლს? ვის ეკითხება ჩვენი ავ-კარგობა?... კითხვები შეიძლება კიდევ გაგრძელდეს, მაგრამ პასუხი კი ყველაზე ერთი და იგივე ითქმის:—ბავშვები, სწორედ ბავშვები,—შეგირდები სკოლის სკამიციებიდან; ან ჯერ კიდევ ქუე დაუშ-წიფებელი, უწვერ-უუღვაშო ახალ-გაზდა კურსოფნიკე; სასწავლებლიდან, ან სამსახურიდან გამორიქებული, უბინო უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ბიჭები, ან კიდევ სხვა წოდების და ხელობის ვაენი, რომელთაც არავითარი სწავლა განათლება არ მიუღიათ, გარდა იმისა, რომ ყური მოუკრავთ რეკისათვის და ვერ გაუგიათ, საყდარზე რეკენ, თუ საფლავზე!.. ასე გასინჯეთ, ქურდ-ბაცაელებიც კი გაერო „განმათავისუფლებელ მოძრაობის“ საქმეში, რომელთაც სამშობლო საქართველო ნაქურდალი ქაცი ცხენის ფასადაც არ უღირსთ!.. მობრძანდით და გააწყვეთ საქმე! ან რა გაწყობა სჭირია, თვითონაც გაწყობილი არ არის?—ძმა ძმას დალატობს, მამა შვილს არ ინდობს, შვილი-მამას, დღეს მოყვარე ხვალ მტერია, გუშინდელი იმედი დღეს გატრუებულია...

ჩვენი სათაყვანო, მსხვერპლის შესაწირა-

ვი საკურთხეველი, ჩვენი დიდება, ჩვენი სამშობლო საქართველო, რომელსაც ჩვენი ძველები ფარვანასავით თავს ევლებოდნენ, რომლის ერთი მოგონება ელვ-სავით დაუბრუნდა მთელი არსებით ააჟურჟულვდა, და ის საქართველო, რომლის დასაცვლად, ჩვენი დედები თავიანთ პირველ და უკანასკნელ იმედ შვილსაც კი იმეტე'დნენ რას დაემსგავსა დღევანდელ მიდა მოდა მოძღვრებისა და ბელიდების ხელ-ში? ვის ახსოვს დღეს ღვთისმშობლის წილხედომილი ქვეყანა? ვინ იწერს დღეს პიჯვარს ქართველურად? ვის ახსოვს ჩვენი მამა-პაპური ზნე-ჩვეულება ჩვენი ერთობა, ჩვენი პურ-მარლი, —სტუმართ—მოყვარეობა? ნეტა რა ჰპოვის ამათში საძაგელი?! სად მიისწრაფიან, რომელი „ცენტრისკენ“? ვითომ, ქართული ზნე-ჩვეულება ხელს უშლის ვან თლებას?—მაგრამ სად არის განათლება?—განა ურწმუნოება განათლებაა, ან თვითნებობა თავისუფლება?...

დღემანდელი მღწინაგე ქართველები კოქ-ჩილიკობას თამაშობენ და ჰგონიანთ საქვეყნო საქმეს არიგებენ; არ გრძნობენ, რომ ამ თამაშობაში თვით ჩვენც სათამაშო ნივთებად ვხდებით: ვკარგავთ იმ ქართულ-კაცურ ღირსებას, რის მორიდებას მტერიც კი გრძნობდა... უკან ჩამოგვრჩენია კაცური კაცები, რომელთა შეხედულობას კაცი ადვილად გვერდს ვერ აუხვევს; უკან სდგას ის, ვისაც რაიმეს გარიგება-გაკეთება შეუძლია; ამა მათ ვინ მისცემს ნებას, რომ კრინტი დასძრან! წინ მიისწრაფიან ისინი, რომელთაც თავი ყოლიფრის მკოლნედ მიაჩნიათ და ყოველ საგანზე საკუთარი ახლოხედვის თვალთა-საზომი აქვსთ... დიახ, ვინც წინ უნდა ყოფილიყო, უკან სდგას და ვინც უკან, ის წინ. მართალია, სახარებაც ასე გვიბრძანებს: „წინანი უკანა და უკანანი წინაო“, მაგრამ სულ სხვაა ის და სულ სხვაა ჩვენი წინა-უკანაობა... აფხაზური წყველია: „ღმერთმან შენი ნუ გაცოდინოს და სხვისი ნუ დაგაჯერებოისო“. სწორეთ ან ხდება ჩვენში და მიტომაცაა, რომ: „მზე აღარ მზეობს ჩვენზედა, დარი არ დარობს დარულად“.

ხასიათის სიმტკიცით ნაქები ქართველთა შთამამავლობის დღემანდელ ახალგაზდათა ტი-

პი ასე დახატა უბრალო საუბარში ერთმა თითქმის წერა-კითხვის უცოდინარმა ქართველმა: „როდესაც პეტრესთან გაქვს საქმე—დაობდა სოფელი—ნუ გგონია, რომ მართლაც მარტო პეტრესთან გქონდეს საქმეო. თუ არ გინდა ნდობის მსხვერპლი გახდე, პეტრეს პირადობის ქვეშ იგულისხმე ხუთიოდ პეტრე მაინცო, რომელთაგან ერთი შეგყურებს პირდაპირ სახეში, მეორე თვალებში, მესამე კანკებში, მეოთხე ტვინში და მეხუთე ჯიბეში... ერთი აკვირდება შენს ამწყოს, მეორე წასრულს, მესამე მომავალს... ასე—ამ რიგად ყოველ მხრივ იხატები ერთ და იმავე დროს ხუთიოდ პეტრესაგან, იმ მიზნით, რომ რომელიმე პეტრემ საკუთარ მიზნისთვის, გამოგითხაროს ძირი და გადაგჩხოს ხრამშიო“. — ეს ცხადია; ვინც ამას ვერ გრძნობს, ეტყობა, რომ ის ჩვენი ცხოვრების სარკეში არ იხედება, არც არავისთან არავითარი საქმე არ ჰქონება და ვინც ცხენზე არ შემჯდარა, რა თქმა უნდა, მან მისგან ჩამოვარდნის გემოც არ იცის.

საქართველოს ბევრი რამ ახსოვს, ავიც და კარგიც, ბევრი ჭირი უნახავს, ბევრი ვაიუბედურობა განუცდია, მაგრამ მის შეილებს ზნეობა-სარწმუნოება, ჩვეულება-ხასიათის სიმტკიცე, ნდობა და ერთობა ისე არასდროს არ გასცლია ხელიდან, როგორც დღეს. დღევანდელი ქართველები წინაპრების აზრდილსაც ვერ მოგვაგონებს; ცოდვაცაა, რომ შედარებით შეურაცხყოთ მათი ხსენება!.. ვის არ აუტოკებს გულს ჩვენ წინაპართა გმირობა, მამულისადმი თავდადება, მათი პირდაპირობა; ვის არ შეეხარბება მათი ქეთფ-მხიარულება ლხინში და შეერთებული ბჭობა და ერთ-სულლოვნობა ჭირში და მრავალი სხვა მათი სანატრელი ხასიათის მხარე და ზნე ჩვეულებანი? დიახ, მაგრამ გამჭრალ არს ის დრო. დღეს სულ სხვა ხანაა: ხანა ობობობისა, კაქკაქობისა და უსულ-გულობის.

რა არის მიზეზი ჩვენი ასეთი ჩამოქვეითებისა? ამ მოვლენის მიზეზებად ბევრ რამეს ასახელებენ ჩვენი „წინამძღვრები“, მაგრამ უმთავრესი კი ავიწყდებათ. ავიწყდებათ, რომ

ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რაც მათ ჩაღადაც არ უღირსთ, რაზედაც მათ სულ უსაფუძვლოდ აიუცრუეს გული, რის ზედ-გავლენა მათ ვერ იგემეს, ვერ შეიგუეს, ვერ დაათასეს, ავიწყდებათ სარწმუნოება და ზნეობა. დიახ, ავიწყდებათ ეს ცხოვრების მანათობელი მეორე მზე, ხალხის შემაერთებელი, მისი დიდი და უაღრესი მასწავლებელი ცხოვრებაში... სარწმუნოება არის ის მტკიცე ფოლადის ჯაჭვი, რომლითაც გადამბულია ძმა-ძმაზე, მეზობელი-მეზობელზე, სახელმწიფო-სახელმწიფოზე და ერი-ერიზე და ზნეობა არის მისი (სარწმუნოების) ნაშობი შვილი, რომლითაც ეს ხალხი ერთი-მეორეზეა გადადუღებული. გასწყვიტეთ ეს ჯაჭვი, დაღეწ-დაამსხვრიეთ ეს შემაერთებელი ცემენტი და მაშინ ნახავთ, რომ ვერა მარქსის სახელი ხალხს ვერ შეაერთებს. ის (ხალხი) უცბად განცალკევდება და ნაცვლად შეერთებული სულის-ძალისა, თქვენ მიიღებთ ცალკალკე მოხეტიალე ტურა-მგლებს, დათვებს, ორმო-სოროების მთხრელ მელებს, საძაგლად მოყიალე ყვავებს, მკბენარ კოლობუზებს და სხ. და სხ. თვით ცხოვრება გვიმტკიცებს. რომ კაცი, რომელიც სჯულს გაექცევა, მას შეაფურთხებს, ის არ ვარგა არც არავის ძმად, არც არავის მეზობლად, არც საზოგადოების წევრად, არც მოღვაწედ, არც მეომრად და არც არაფრად. როცა დრო მიეცემა, ის ადამიანსაც ისე შესჭამს, როგორც ხარის სუკის მწვადს; ის ფეხებით კი არ დაიარება, მუკლით დაცოცავს, ხარხა დაფჩინილი, და პირს მხოლოდ მაშინ კუმშავს, როცა გემრიელი ლუკმა უვარდება შაგ... კი, „სვინდისიო“, — ამბობენ, მაგრამ ჩვენ თამამად და მოურიდებლად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სვინდისი სულ ყველასი ქურდი და ავაზაკია, თუ მაზე სარწმუნოებრივი ზედ-გავლენა არ მოქმედობს. ათასში ერთიც თუ მოიპოვება ისეთი სვინდისის მექონა კაცი, რომელმაც დაფარული საქმე თავის სასარგებლოდ არ გამოიყენოს, თუ გინდა, რომ ამ დაფარულ საქმით ათასი მსხვერპლი შემოიწიროს... დღეს კი ვინაა უნდა შეეკითხო, ყველა გიპასუხებს: „სარწმუნოება სვინდისის საქმეაო“. ეს უკულ-

მართი მოსახრებაა. სარწმუნოება კი არ არის სვინილისის საქმე, თვით სვინილისია სარწმუნოების საქმე. პირუტყვს მარტო პირუტყული სვინილისი აქვს, ადამიანს კი აქვს სვინილისი ადამიანური, პირუტყული და მხეცური და ეს ორი უკანასკნელი, რომ არ გამძღავრდეს, არ გამეფდეს ადამიანის არსებაში, საჭიროა საიდუმლო დარაჯი და სწორეთ ეს დარაჯია სარწმუნოება. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს სვინილისი ბაღად (წალკოტად) და სარწმუნოება მებაღედ. როგორც ბაღში აღმოცენდებიან სხვა და სხვა მცენარეები, აგრეთვე სვინილისის ნიადაგზედაც ამოდის სხვა და სხვაობა მოქმედებათა. აქაც და იქაც მცენარეთა შორის რამდენი მარგებელია, ორი იმდენი ურგები და მანებელია და მაშასადამე თუ გვინდა ბალი ხეივანი გვქონდეს და სვინილისი წმიდა, პირველისთვის უნდა გვყავდეს კარგი მებაღე და მეორისთვის კეშმარიტი სარწმუნოება. როგორც მებაღე მუშაობს ბაღში ცუდით, ბარით, თოხით, მაკრატლით და სხვა იარაღით, ისე სარწმუნოებაც მუშაობს ჩვენ სვინილისის ბაღში, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელის მოქმედება უხილავია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პირველისა.

როგორც ბაღს არ შეუძლია უთხრას მებაღეს: „შენ ჩემი საქმე ხარ, მინდა შემოგიშვებ, მინდა არა, მე უშენოდაც ძალიან სასარგებლო და ლამაზი ვარო“, — არც სვინილისს შეუძლია უთხრას სარწმუნოებას: „შენ ჩემი საქმე ხარო“. — თუ ბალი გათოხნილია, ხეები თავ-თავის ადგილზე დარგული და ყოლიფერი წეს-რიგზეა მოყვანილი, ეს მებაღის საქმეა, აგრეთვე სვინილისის სიწმიდე და სისპეტავე უსათუოდ სარწმუნოების საქმეა. — ამასთან ერთ წუთსაც არ უნდა მოვსტყუვდეთ, როგორც ბაღის, აგრეთვე სვინილისის გარეგანი მშვენიერებით... ვსთქვათ, რომ ბაღმა მებაღე არ მიიღო და სვინილიმ სარწმუნოება. როგორც პირველში, ისე უკანასკნელშიაც აღმოცენდებიან: ნარ-ეკალი, უნაყოფო და ველური მცენარეები, რომელნიც, ბუნების წესისამებრ, უფრო გამრავლდებიან და გაიხარებენ, ვიდრე ნაყოფიერები, პირველები დაჩრდი-

ლავენ მეორეებს, ვარდ-ყვავილები ჩაიღრჩობიან ბალახებში, დადგება წუმპე, გაჩნდებიან გველები, კუები; დაიბუდებენ მგლები, ტურები და სხ. ერთიც და მეორეც გაივსება ნატაცები ცხოველთა ძვლებით, ფრინველთა ბუმბულით და სწორეთ მაშინ საზარცლო და საშიში იქმნება ჩახვილეთ პირველში და მიენდოთ მეორეს...

შევადაროთ ამ მხრით ჩვენი ახალთაობა ჩვენ წინაპრებს. რაც უნდა ხელობის ყოფილიყვენ ჩვენი წინაპრები, საქმის დაწყების წინ უსათუოდ ღმერთს ახსენებდნენ. ავილოთ მაგალითად ძველი მწერლები. საქართველოს დიდება — რუსთაველი, თავის უკვდავ პოემას ღვთის დიდებით იწყებს: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ „ჰე ღმერთო ერთო შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანი-სა!..“ გურამიშვილი, სანამ კალამს იღებს ხელში ღმერთს შეჰლაღადებს... და საზოგადოდ ვინც რამეს დასწერდა, პირველად ღმერთს ახსენებდა. — ვერც კი შეხვდებით ისეთ ძველ ნაწერს, რომელშიაც თავიდან ბოლომდის სარწმუნოებრივი ძაფი არ იყოს გაყოლებული და ზნეობრივი ვარდი ჩაქსოვილი. ასე გასინჯეთ, უბრალო წერილებშიაც უსათუოდ პირველად ღმერთი უნდა ეხსენებიათ; ამ ჩვეულების ნაშთი აქა-იქ დღესაც მოაპოვება ჩვენში. მაგ. დღესაც ხმარობენ წერილებში: „პირველად მოწყალე ღმერთსა ვსთხოვ“... — „უწინარეს ყოვლისა ღმერთს ვვევდრები...“ და სხ. დღეს? დღევანდელი ჩვენი მწერლების ნაწარმოებები ერთად რომ შეაგროვოთ და გულდასმით გარდაიკითხოთ, სულ ორ ადგილას ვერ შეხვდებით სასოებით წარმოთქმულ ღვთის სახელს. პირ-იქით ეს ჩვენი „გონება განათლებული“ მწერლები ორ სიტყვას ისე ვერ დასწერენ, რომ ღვთის სახელი უკუღმართად არ მოიხსენიონ... აბა რა არის ეს, თუ არა „შვილი გამისტუდენტდა!“

კირილე წუთისოფლელი.

(შემდეგი იქნება).

ქვირილაჲ ქვირობაჲღე.

სამღვდლოების უკანასკნელ კრებაზე დად-

განილი ჟურნალები ყოვლად სამღვდლო იქ-
რეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ უკვე გადმოსცა
კანცელარიაში, რომელთა ბედ-იღბალი შემ-
დეგია: ჟურნალი № 1 შესახებ აღრჩევთი უფ-
ლები'ა. „საქმის უკანონო დაყენებისათვის უა-
რი ეყოს. თუ კრებას არ უნდოდა, ან არ შე-
ეძლო ეთქვა მთელი სიმაართლე, რა უნდა ჰქნას
კომისიამ? გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ არ
შეიძლება მიენდოს სხვა და სხვა კომისიას მი-
სი წევრების შეხედულებით დამოკიდებულო-
ბა იქონიოს უმაღლეს მართებლო'ასთან“.

— № 4 შესახებ სასულიერო სასწავლე-
ბლისა: „სანთლის საწყობი უმისოდაც დატვირ-
თულია აუტანელი ხარჯებით და კიდევ მასვე
უბრძანებენ, გადუხადოს სასწავლებელს 2413
მან. და 52 კ. სემენარიის ეკლესიისაგან და-
ნაშთი მასალის საფას კრება უთვლის სასწავ-
ლებლის სამმართველოს უკვე გახარჯულ ფულ-
ში და მასთან აქედგანვე აძლევს საჩუქარს სა-
სწავლებლის მეთვალყურეს ბ. შარაშიძეს; დამი-
მტკიცებია პირველი. სასწავლებლის სამმართვე-
ლომ დაუკავოს ბ. შარაშიძეს 30 მანეთი ჯამა-
გირიდგან და დაუბრუნოს თავის წყაროს. და-
ნარჩენი ამ ჟურნალში დამიმტკიცებია“.

№ 7 შესახებ სანთლის დუქნისა. „როგორც
სჩანს, კრებას არ წარდგენია წლიური ანგარი-
ში სანთლის საწყობის მართვა-გამგობისა *) ეს
დიდი უყურადღებობაა საწყობის მმართველის
და რევიზიის კომიტეტის მხრით. შემდეგში
ასეთი ანგარიში უნდა წარმომიდგინონ მე სა-
მი დღის წინ კრების დაწყებამდის, ხოლო მე
ჩემის მხრით გადავსცემ კრებას. ანგარიში უნ-
და წარმოდგენილ იქმნას კომიტეტის ჟურნა-
ლით. მღვდ. ვ. დოლობერიძე, რომელიც კრე-
ბას, კომისიის წევრად აურჩევია, არის წევრი
საეპარქიო სარევიზიო კომისიისა და ამისთვის
მისი დანიშნა უკანონოა. მის მაგიერ ვნიშნავ
მღვდ. ლ. დევიძეს. დანარჩენში ჟურნალს ვამ-
ტკიცებ, გარდა იმ ღვდლების მღვდელმოკმე-
დების აღკრძალვისა, რომლებსაც სანთლის
საწყობის ვალი მართებსო. ასეთი ზომების მი-
ღება დამოკიდებული იქნება ჩემზე.“

*) ასეთი ანგარიში სანთლის საწყობის სამმართვე-
ლომ ადრევე წარუდგინა კრებას.

— № 5, რომელიც ავალებს მ. დეკ ლამ-
ბაშიძეს შეიტყოს რა მდგომარეობა შია საქმე შე-
სახებ იმერეთის ეპარქ. საეკლესიო ხაზინის გა-
თავისუფლებისა ეპისკოპოსის და მისი კანცე-
ლარიის შენახვისაგან. „ჩემის მხრით არ არის
დაბრკოლება ამ ჟურნალის შესრულებისა-
თვის“.

— № 10, შესახებ ტრაგიკულათ მოკ-
ლულ მღვდ. ტროფიმე ცინცაძის ქვრივის
თხოვნისა შემწეობის თაობაზე. „მიეწეროს
ბლალორჩინებს, დაუყონებლივ შეასრულონ და-
დგენილება კრებისა. ნუ თუ ასეთ წმიდა საქ-
მეზედაც გახსენებაა საქირო“?

№ 12, უსახელო საჩივრების შესახებ:
„პირ. წარედგინოს სინოდ. კონტორას კე-
თილ განსახილველად. შეახებ ზომების მიღე-
ბისა წინააღმდეგ უსახელო საჩივრებისა დამ-
ხადდეს ცირკულარი“.

— № 19 შესახებ გვირგვინ კების ფუ-
ლისა: „მოეთხოვოს დასახელებულ ბლალორჩი-
ნებს, შეიტანონ სასწავლებელში ხვედრი ფუ-
ლი, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული
ვიქნები სასტიკი ზომები მივიღო“.

— „ეშმაკის მათრახის“ კორრესპონდენტს
რიხარახი დაბნევა და თავტანის ვერაფერი
გაუგია. ქვეყანას შესჩივის სანმანიანმა „სუბ-
სილიათ“ სმღვდლოებისაგან 4000 მანეთი
მიიღოვო. ვთხოვთ ბ. კორრესპონდენტს, წა-
კითხოს ამ ნომერში მოთავსებული სტატია
„საეპარქიო სტაჰბის ბედ იღბალი“, რაც პა-
სუხი იქნება მისი ურცხვი ტყუილისა. იმედი
გვაქვს „ეშმაკის მათრახს“ არ შერცხება, რომ
ასეთ ცილისწამებას ავრცელებს! კაი ხანია
შუბლის კანი დაუსქელდა.

არც პარტები უჩუქნია სამღვდლოე-
ბას ჩენთვის. არამედ გვათხოვა ჩვენი ახლად
გახსნილი გიმნაზი-სთვის, რაც სანმანიანის
გომართვლის წინააღმდეგ წერილებს, რომლე-
ბიც ასე ლახვარივით ესობათ გულზე ყველა
მათრახისტებს, არ შეეხება. ქაჩური მასხრო-
ბით და ბანზე სიტყვე'ის სროლით არაფერი
გაკეთებულა და არც არაფერი ვაკეთდება.
რედაქცია სთხოვს ყველას, ვინც ანგარიშს
უწევს ჩვენ ჟურნალს, არსებითად ვეიპასუხოს!

და ჩვენგანაც ასეთსავე პასუხს ელოდეს, თორემ სამახარსლო აღიარებით არ გვცალია. იმასაც ძალან ვწუხვართ, რომ თითონ „ეშმაკის მათრახი“ ასე იაფ მოღვაწეობას შედგომია!..



პროფესორ მას მიუღწერის აზრი მატერიალიზმზე.

(მისი წერილებიდან).

(დასასრული).

მის მაგიერ რომ ამისანა და ამგვარ ფაქტებიდან გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ ოდესღაც კაცი მართლა ~~ამფიოტოქსუსას~~ მდგომარეობაში იყო, რასაც ძლივს ეტყობა ხერხიმალი, რომელ დასკვნასაც არავითარი აზრი არა აქვს, ჩვენ შეგვიძლია უფრო ადვილად გავითვალისწინოთ მოვლენანი თუ ქვეყნიერების ქმნილებას ან ლექსთაწყობას წარმოვიდგენთ, როგორც ნებას ან აზრს შემოქმედისას, რომელიც არის ქვეშარტი საფუძველი სახეთა წარმოშობისა (происхождении видов). გეკსლიც კი, ის გეკსლი, რომელიც თავის თავს დარვინის ბუღლოგს (ძაღლია) უწოდებდა, ეტყობს, რომ ბუნებითი ხელშეწყობით შესაძლებელი იყოს სახეთა წარმოშობა.

როცა მატერიალისტები ადამიანის ადგილს საზღვრავენ ბუნებაში, ადამიანს არათუ მხოლოდ რძით მკვებავ ცხოველად უწოდებენ, რასაც არავენ უარპყოფს, არამედ პოულობენ, რომ იგი ამით ჰგავს ცხოველთა სამეფოს. შესახებ ეგრეთწოდებული ადამიანის ღირსებისა, რამდენადაც მესმის, ამ თეორიას არ აქვს არავითარი მნიშვნელობა ადამიანს რომ კუდიც ჰქონოდა, ეს არ დაამცირებდა მის ღირებულებას. მე თითონ ეფიქრობ, რომ ისტორიულ ხანაშდის და ისტორიულ ხანაშიდაც არსებობდნენ კუდიანი ადამიანები. მე კიდევ შორს მივდივარ და ვამტკიცებ, რომ თუ ოდესმე გამოჩნდება ისეთი მაი-

მუნი, რომელსაც ექნება ნიჭი-ლაპარაკისა და ცნებების შედგენისა, იგი ამით შეიქნება ადამიანად.

ამნაირად მე შორს ვარ იმ წინათგანძრახვაზე, რომელიც მზათ არიან მოგვაწერონ ჩვენ მაიმუნისაგან ადამიანის განვითარების თეორიის მიმდევრებმა.

მაგრამ მე და ჩემი მომხრეები რწმენით მოვითხოვთ ჩვენ მოწინააღმდეგეთაგან მხოლოდ იმას, რომ იგინი სერიოზულად ჩაუფიქრდნ თავის დებულებებს და იმავე ყურადღებით მოეპყრონ ჩვენი მეცნიერების უკანასკნელ სიტყვებს, როგორც ჩვენ ვეპყრობით მათ გამოკვლევებს. იგინი გვასწავლიან ჩვენ, რომ ის სხეული, რომელშიდაც ჩვენ ვცხოვრობთ, პირველად უბრალო გალია იყო; მაგრამ რას ნიშნავს ეს — „პირველად“, ჯერ კიდევ არ არი დაყენებული მათგან. შემდეგ ეს გალია დაიყო რამოდენიმე მილიონ გალიად. ამ გალიაში არის ერთი ნათელი წერტილი, რომელიც შეუნიშნავი რჩება თვით მიკროსკოპისათვისაც კი, თუ გინდ მასში გამონასკული იყოს მთელი ქვეყნიერება.

თუ ჩვენ ჩაუკვირდებით იმ გარემოებას, რომ შეუძლებელია ამ კაცის წარმოშობა გალიის გარჩევა იმ პირველყოფილ გალიათაგან, რომლებიდანაც წარმოიშვნენ ცხენი, სპილო ან მაიმუნები, მაშინ ცხადი შეიქნება, რამდენი ვაუგება-რი და უმნიშვნელო შრომაა დაკარგული ამ უკანასკნელ წლებში ადამიანის ცხოველური განვითარების გამოსარკვევად. ჩემი სხეული, შენი სხეული, მისი სხეული წარმოსდგება გალიისაგან და არის გალია, რომელიც ყოველთვის გალიად დარჩება და არ ჰკარგავს თავის ერთგვარობას, მიუხედავად შრავალგვარ ცვლილებებისა, რომელსაც განიცდის თავის სიცოცხლეში. ეს გალია თავის ცვლილებით შესანიშნავად წააგავს სხვა ცხოველთა გალიის ცვლილებას. მაგრამ იმ დროს, როცა იგინი თავის ცვლილების დროს ზოგი შეჩერდა ქიაზე, ზოგი თევზზე, ზოგი ამფიბრია-

ზე, ქვეწარმავალზე ან რძით მკვებავებზე — ის გალია, რომელიც კაცად უნდა ქცეულიყო ახწევს განვითარების საკიბურს კუდიან მაიმუნებამდის. შემდეგ უკულოებადმდის და შეუჩერებლად ვითარდება იქამდის, სანამ არ მიალწვეს თავის განვითარების მიზანს. ვილაპარაკოთ ფილოგენეტიურად კი არა ოტნოგენეტიურად: საიდგან სჩანს, რომ ჩვენ გალიას ჰქონდა რაიმე დამოკიდებულება იმ გალიასთან, საიდგანაც უნდა განვითარებულიყო მაიმუნი და კიდევ დარჩა მაიმუნად?

როგორც სხვა და სხვა ნაკადულები მწკრივად მიმდინარეობენ, ერთ და იმავე ნიადაგზე და ერთი მათგანი ერთვის ტბას, ხოლო სხვანი მიმდინარეობენ ქვევით, სანამ ერთი მათგანი არ მიალწვეს თავის მიზანს — ზღვას, აგრეთვე გალიები რამოდენიმე ხანს თანასწორ ვითარდებიან. ამ განვითარების დროს ზოგი მათგანი ჩერდება თავის მიზანზე, ზოგი ვითარდება კიდევ და კიდევ, სანამ არ მიალწვევენ თავის მიზანს; მაგრამ უფრო განვითარებულები არ წარმოსდგებიან უფრო განუვითარებელ გზაზე შეჩერებულ გალიათაგან. ამ უკანასკნელებმა უკვე მიალწიეს თავის საზღვარს, რომლის იქით გადასვლა აღარ შეუძლიათ. აი სწორეთ ეს შეჩერების წერტილია სათავე სახეთა ს'ვა და სხვაობისა, აქედან იწყება უკვე ამ სახის სხვა და სხვაობა (разновидность). მაგრამ ამ სახეს და მის სხვა და სხვაობას არ უნდა ვრევდეთ ერთმანეთში. თვითეული სახე წარმოადგენს ნების მოქმედებას, აზრს, და ამ აზრის სისრულისაგან, მიუხედავად მრავალი განსაღდელისა არაფერი შეგვიძლია მოვაკლოთ.

ვინც დარწმუნებულია, რომ თითეული ინდივიდი, თეგზია ეს თუ ფრინველი, წარმოსდგა თავის საკუთარი გალიიდგან, მან იცის რომ გალია ადამიანისა არასოდეს არ ყოფილა მაიმუნის გალია, თუმცა კაცის თვალისთვის არაფრით არ

განირჩევა პირველისაგან რაც მართალია ოტნოგენეტიურად, მართალია ფინეგენეტიურადაც. ჩემთვის პირადათ ადამიანის მაიმუნიდგან წარმოშობის საკითხი არასოდეს არ შეადგენდა დიდ ინტერესს, ხოლო ამ საკითხის დამცველნი სთვლიან მას ერთ უმთავრეს ან არსებით საკითხად, რომელზედაც უნდა დაეფუძნოს მთელი ჩვენი მსოფლიო შეხედულება. ჩემი შეხედულებით სხეულის სამოსის მნიშვნელობას ისეთი მცირე მნიშვნელობა აქვს, როგორც არა ერთხელ გამოძითქვამს, რომ მე დაუყონებლივ მივიღებდი ძმად რომელიც გინდა მაიპუნს, რომელსაც ეცოდინებოდა ლაპარაკი და აზროვნება ცნებებით, თუ გინდა რომ მას ჰქონოდა ბანჯგვლიანი კანი და კუდი კაცს ის კი არ შეადგენს, რასაც მიწაში მარხავენ, ან სწვავენ. იგი გალიაც არ არის, არამედ ამ გალიაში მცხოვრებია. მაგრამ ეს დებულება იწვევს მთელ რიგს კითხვე ისას, რომლებზედაც ვეცდებით პასუხი მივსცეთ, თუ ჩემმა რამოდენიმედ დაძველებულმა გალიამ გაუძლო ქარიშხალს და უამინდობას

ფრასკატი. აპრილი 1897 წ.
დასასრული



რედაქტორი მღვდელი სიმონ მავალიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ა

პირველი თებერვლიდგან ქალაქ ქუთაისში ქ. ნ. ე. მჭედლიძის სახ. ეგში (საბურთალო — კახაკოვის — შესახვევი № 17) გაიბნა კერძო ობხლასიანი პროგიმნაზია. აქვე ამზადებენ მსურველთ სხვა და სხვა სასწავლებელისათვის და ღებულაზენ სარეპეტიციოდაც.